

პროექტის რეზიუმე

„მერის სათათბირო ორგანოს - ახალგაზრდული საბჭოს დაფუძნება“ არის საგრანტო განაცხადი, რომლის განხორციელება საფუძველს დაუდებს პირდაპირი კენჭისყრით არჩეული ქალაქის მერებისა და ადგილობრივი ახალგაზრდების ინსტიტუციურ, ხანგრძლივ, კვალიფიციურ და ეფექტიან თანამშრომლობას.

წინამდებარე პროექტი აგრძელებს სამოქალაქო გავითარების ინსტიტუტის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინა პერიოდში სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტს „ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი“. წინასაარჩევნო პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდების ინფორმირება და მოტივირება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობისთვის, რათა არჩევნების შემდგომ პერიოდში გააქტიურებულიყო ახალგაზრდებისა და ადგილობრივი ხელისუფლების თანამშრომლობა რეალური ცვლილებებისთვის. წინამდებარე პროექტი გულისხმობს უკვე განხორციელებული პროექტის ფარგლებში დადასტურებული საჭიროებებისა და წარმოქმნილი შესაძლებლობების რეალიზაციას: ამჟამად მოქმედი მერების მიერ ახალგაზრდებთან წინასაარჩევნო შეხვედრებისას გაცემული დაპირებების მონიტორინგს და, დაპირების თანახმადვე, ახალგაზრდული საბჭოს - როგორც მერის სათათბირო ორგანოს - შექმნას საქართველოს ხუთ ქალაქში: გორში, თელავში, ახალციხეში, ქუთაისსა და ზუგდიდში.

პროექტის მიზანია ახალგაზრდა ელექტორატის სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და კვალიფიკაციის გაზრდა, ადგილობრივ ხელისუფლებასთან სისტემატური ინსტიტუციური თანამშრომლობის გზით. ამ მიზნის შესრულებას უზრუნველყოფს 5 ქალაქში დაგეგმილი, ოთხ ტურად გადნაწილებული ინტენსიური შეხვედრები ახალგაზრდებთან, მათი მომზადება მერთან ეფექტიანი თანამშრომლობისთვის, ახალგაზრდული საბჭოების დაფუძნება მერების მიერ და თანამშრომლობა კონკრეტული ინიციატივების განსახორციელებლად.

პროექტის სამუშაო ჯგუფის პირველი ვიზიტი რეგიონებში გულისხმობს ხუთ ქალაქში თითო 10 წევრიანი საინიციატივო ჯგუფისთვის მოტივირებული ახალგაზრდების შერჩევას. ვიზიტების მეორე ტური წარმოადგენს პროექტის სამუშაო ჯგუფის (დირექტორი, კონსულტანტები) ორდღიან შეხვედრებს ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფთან და მათ მომზადებას კონკრეტული თემების კვალიფიციური დამუშავებისთვის/მონიტორინგისთვის. ვიზიტების მესამე ტურის განმავლობაში მოხდება მერებისა და საინიციატივო ჯგუფების შეხვედრა, მონიტორინგის შედეგების გაცნობა და მოლაპარაკება ახალგაზრდული საბჭოს დაფუძნების შესახებ. ვიზიტების მეოთხე ტური გულისხმობს ახალგაზრდული საბჭოების მიერ მერისთვის კონკრეტული, შესწავლილ-დამუშავებული, დროში გაწერილი ინიციატივის წარდგენას წინასწარ შეთანხმებულ თემაზე. საბჭოების დაფუძნებისა და თანამშრომლობის პირველ ეტაპზე პროექტის დირექტორის, კონსულტანტებისა და ადგილობრივი კოორდინატორის მონაწილეობა მერთან შეხვედრებში მყარ ნიადაგს შეუქმნის მერებისა და ახალგაზრდების სამომავლო თანამშრომლობას.

პროექტი გულისხმობს 25 ბლოგის მომზადებას მერებისა და ახალგაზრდების თანამშრომლობის შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად.